ოქმი:**ო05. 3724024001**
თარიღი:**24/01/2024**

ოქმი N 1
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2024 წელი, 22 იანვარი
ქ.ოზურგეთი

13.00-13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, ბ. კილაძე, გ. კილაძე, ნ. მახარაძე, ხ. ცერცვაძე, ნ.ნადირაშვილი, ნ. ქარჩავა ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: პაატა კიღურაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: პაატა კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ, კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მის წარდგენას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

მეორე საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი სრულად აკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველობის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მის წარდგენას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განხილვა-დამტკიცების, ხოლო N2 საკითხი საკრებულოსა და ბიუროს სხდომას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი